განკარგულება:**g-81. 8125267001**
თარიღი:**24/09/2025**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №48

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქ. №69-ში მდებარე შენობის (ს/კ - 89.03.22.002) სხვენზე და სახურავზე საბაზო სადგურის (ანტენა და აპარატურა) განსათავსებლად გამოყოფილი ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის შესაბამისად და ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 27 აგვისტოს №005617125 დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქ. №69-ში მდებარე შენობის (ს/კ - 89.03.22.002) სხვენზე და სახურავზე საბაზო სადგურის (ანტენა და აპარატურა) განსათავსებლად გამოყოფილი ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე.

2. საიჯარო ფართის ერთი თვის საიჯარო ქირა განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რეზო ხეცურიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი